საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონში მდებარე ლიბერთი ბანკის ფილიალის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ

თბილისი
2020 წ

შპს საქართველოს ტექნიკური ჯგუფი

LTD GEORGIAN TECHNICAL GROUP

საიდენტიფიკაციო კოდი 200236707

Phone: 790 22 23 45
Mob. 595 22 23 45

Fax: (995 32) 63 01 71
E-mail:georgiantechgroup@gmail.com

-- -------- 2020 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონში მდებარე ლიბერთი ბანკის ფილიალის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ

ექსპერტი: გ. ნოზაძე

GTG
GEORGIAN TECHNICAL GROUP
200236707

თბილისი
2020 წ

2020 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გლდანის მე-3 მიკრო რაიონში ლიბერთი ბანკის ფილიალი. განხილული იქნა წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტში წარმოდგენილი რეკონსტრუქციის სამუშაოების შესაძლებლობა და გავლენა შენობის საერთო მდგრადობაზე.

ქ. თბილისში, გლდანის მე-3 მიკრო რაიონში ლიბერთი ბანკის ფილიალის შენობა წარმოადგენს ერთსართულიან მზიდკედლებიან შენობას, სარდაფით, რომელსაც გააჩნია ყორებეტონის ლენტური საძირკვლები, კედლები აშენებულია სამშენებლო ბლოკით და აგურით, კედლებში მოწყობილია რკინაბეტონის ჩანართები. კედლებზე სართულშუა გადახურვის და სასხვენო გადახურვის დონეზე მოწყობილია რკინაბეტონის სარტყელი, სარდაფში ნაწილზე მოწყობილია რკინაბეტონის სვეტები და კოჭები. სართულშუა და სასხვენო გადახურვა მოწყობილია რკინაბეტონის ღრუტანიანი ასაწყობი ფილებით. სახურავი მოწყობილია ხის ნივნივებზე თუნუქით.

შენობის საერთო მდგრადობა შემოწმების მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია, შენობაზე არ აღინიშნება ჯდენის ბზარები და სხვა სახის დაზიანებები.

შენობის რეკონსტრუქცია ძირითადად ითვალისწინებს გეგმარების შეცვლას. რეკონსტრუქციის ფარგლებში ემატება რამოდენიმე ქაბაშირმუყაოს ტიხარი და ერთ სათავსოში ეწყობა საცავი რკინაბეტონის კედლებით, იატაკით და გადახურვით.

შენობაში თაბაშირმუყაოს ტიხრების მოწყობა არ არ მოახდენს გავლენას შენობის საერთო მდგრადობაზე. საცავის მოწყობისათვის საჭიროა დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ სარდაფის ნაწილში საჭიროა მოეწყოს დამატებითი ლითონის ჩარჩოები, რომელზეც გადავა საცავის რკინაბეტონის კონსტრუქციებიდან დამატებითი დატვირთვები. აღნიშნულზე საჭიროა დამუშავდეს კონსტრუქციული პროექტი.

<u>**დასკვნა:**</u>

ქ. თბილისში, გლდანის მე-3 მიკრო რაიონში მდებარე ლიბერთი ბანკის ფილიალის რეკონსტრუქციის სამუშაოების განხორციელებაზე უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. *შენობის საერთო მდგრადობა შემოწმების მომენტისათვის დამაკმაყოფილებელია, შენობაზე არ აღინიშნება ჯდენის ბზარები და სხვა სახის დაზიანებები;*
2. *შენობაში თაბაშირმუყაოს ტიხრების მოწყობა არ არ მოახდენს გავლენას შენობის საერთო მდგრადობაზე;*
3. *საცავის მოწყობისათვის საჭიროა დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ სარდაფის ნაწილში საჭიროა მოეწყოს დამატებითი ლითონის ჩარჩოები, რომელზეც გადავა საცავის რკინაბეტონის კონსტრუქციებიდან დამატებითი დატვირთვები;*
4. *პროექტით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებით-წინასწარ დამუშავებული პროექტის მიხედვით, სამშენებლო ნორმების და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით.*

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“-ს

დირექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,

ექსპერტი /გ. ნოზაძე/

ფოტოფიქსაცია